მცირენი არიან ურწმუნონი…

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 18 ივნისი.

“დინამო” (თბილისი) – ასკ (დონის როსტოვი) 3:1 (2:0).

“დინამო”: გოგია, ხიზანიშვილი (სულაქველიძე), ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, დარასელია (კოპალეიშვილი), მ. მაჩაიძე, გ. მაჩაიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია.

ასკ: რადაევი (კუშნარიოვი), ბარკეტოვი, ანდრიუშჩენკო, იაშინი, ბონდარენკო, გუსევი, ჩურკინი, ანდრეევი, უგრინი, ბერდიევი (კოვალი), ბობკოვი.

მსაჯი: ს. ბელიაევი (მოსკოვი).

მას შემდეგ, რაც 5 ივნისს თბილისის დინამოელებმა მოსკოვში მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატის პირველი მარცხი იწვნიეს ცსკა–სთან შეხვედრაში, ჩვენი გაზეთის სარედაქციო ფოსტამ ერთიორად იმატა. იმატა უცბად, მეორე დღესვე, ზოგს თავად მოჰქონდა წერილი რედაქციაში, ზოგიც, უფრო მომთმენნი, ფოსტის ნაკლებად სწრაფ ტემპს მიენდვნენ…

სკეპტიკოსები ხშირად გვხვდებიან ცხოვრებაში, მრავალია მათი რიცხვი გულშემატკივართა შორისაც. მაგრამ ზოგიერთმა მათგანმა ამჯერად ნამეტანი აქტიურობა გამოიჩინა და ჭექა–ქუხილის ნამდვილი რისხვა დაატეხა ჩვენს ფეხბურთელებს, მათს ხელმძღვანელებს და ყველას, ვინც კი წერის დროს გაახსენდათ ზომაზე მეტად გულმოსულებს.

თურმე ნუ იტყვით, შემადგენლობაც არასწორადაა დაკომპლექტებული, სათამაშო ტაქტიკაც ყოვლად უვარგისია, მოთამაშეებს არ გააჩნიათ ხეირიანი ტექნიკა, არა აქვთ ფიზიკური მომზადება, შეცვლები თამაშის დროს ყოვლად გაუმართლებელია და ა.შ.

რატომ, რა მოხდა, რამ ააღებინა ზოგიერთებს ასე გესლიან მელანს ამოვლებული კალამი?

თურმე, იმ გარემოება, რომ თბილისის “დინამომ” შინ ვერ მოუგო დონეცკის “შახტიორს”, მერე კი გასვლაზე წააგო მოსკოვის არმიელებთან. აი, თავიდათავი მწარე წყენის საბაბისა.

საბედნიეროდ, მცირენი არიან ურწმუნონი. ისინი, ვინც უმალ უარყო თბილისის “დინამოს” ბოლო წლების ბრწყინვალე წარმატებები, დავიწყების სკივრში ჩატენა ბრინჯაოს, ვერცხლის მედლები, ბროლის თასი, ჩემპიონის მაღალი ტიტული და გაგულისებული ჯიუტად გაიძახიან – ეს როგორ გვაკადრეს წაგებაო, ერთადერთი!

დაუმარცხებელი გუნდი მე ჯერ არ მინახავს ფეხბურთში და, მენდეთ, ვერც ვერავინ იხილავს. ეს კარგად უნდა იცოდეს ყველამ.

დარწმუნებული ვართ, რომ მათ, ვინც ასე ხელაღებით “აკრიტიკებს” დინამოელ ფეხბურთელებს, კეთილი სურვილები და გუნდის დღეგრძელობა ამოძრავებთ უპირველეს ყოვლისა, მაგრამ არ შეიძლება ყოველ ცალკეულ წარუმატებლობაზე ან უხეიროდ ნათამაშებ მატჩზე ასეთი ექსცენტრიული რეაქცია მოვახდინოთ და ერთი ხელის მოსმით წყალში გადავყაროთ მთელი კოლექტივის – ხელმძღვანელობის, მწვრთნელების, ფეხბურთელების ოფლით მონაგარი, ნაშრომი, ნაღვაწი, მედლებიც, თასიც, მით უმეტეს, რომ წინაა უკიდურესად დაძაბული, ხანგრძლივი ბრძოლები, ჩემპიონატის გადამწყვეტი მატჩები, წინაა თასის ფინალი. საბჭოთა კავშირის ხალხთა

სპარტაკიადა, წინაა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის საპასუხისმგებლო სტარტი. განა ასეთი განწყობით უნდა გავყვეთ ჩვენს გუნდს ამ უძნელეს, ხიფათიან ცურვაში?

მართალია, იქნება მარცხიც, წაგებებიც, ამისგან არავინაა დაზღვეული, მათ შორის თბილისის "დინამოც", მაგრამ გუნდს სწორედ სიძნელის ჟამს სჭირდება გამხნევება და მხარდაჭერა, თორემ ღვარძლიანი წერილებით და სტვენით კიდევ უფრო ვავნებთ საქმეს.

ხომ ავიღეთ რევანში იმავე ცსკა–სთან? ხომ გავედით, უკვე მეშვიდედ თასის ფინალში? ხომ მოვიგეთ იმ წაგების შემდეგ ჩემპიონატის კალენდარული მატჩები: ხომ ვართ სადღეისოდ გათამაშების ერთპიროვნული ლიდერები?

აი, ესაა მთავარი და არა ის, რომ სადღაც ჩავარდნა გვქონდა.

ვიცი, ზოგიერთი იტყვის – ნახეთ სიტყვების რა რახარუხი და ზარზეიმი ატეხა რეცენზენტმა, რა დიდ გულზეა, მოვიცადოთ 22 ივნისამდეო.

მეც სულწასული ვუცდი იმ 22 ივნისს, უმნიშვნელოვანეს მატჩს მოსკოვის "დინამოსთან", მაგრამ ვუცდი არა იმას, რომ ჩვენმა გუნდმა შესაძლოა ვერ გამოავლინოს მთელი თვისი შესაძლებლობანი, არამედ იმას, რომ მან უნდა განიმტკიცოს თავისი მეთაური პოზიციები.

რაც შეეხება ნაკლოვანებებს, ცალკეულ შეცდომებს, ისინი, მართალია, ჯერ კიდევ საკმარისადაა თბილისელთა თამაშში. როსტოველებთან იოლად მოგებულ მატჩშიც კი შესამჩნევი იყო ისინი. გუნდმა თამაშის მსვლელობაში რამდენიმეჯერ მკვეთრად შეანელა ტემპი, მოუკლო შეტევებს. ცალკეულ შემთხვევებში მეტისმეტად გადაჭარბებული იყო ინდივიდუალური თამაში, ყიფიანმა, გუცაევმა, სულაქველიძემ, შენგელიამ ნაღდზე ნაღდი მომენტები ვერ გამოიყენეს ანგარიშის გასაზრდელად, შეიძლებოდა ანდრეევის მიერ გატანილი საპასუხო გოლის თავიდან აცილებაც და, საერთოდ, შეგვეძლო არ დავკმაყოფილებულიყავით ყიფიანის, შენგელიას და მ. მაჩაიძის 3 გოლით, მაგრამ ყველაფერი ეს ამ მატჩში ცალკეული ეპიზოდები იყო, მომენტები, მთლიანად თამაში კი სავსებით დამაჯერებელი და შთამბეჭდავი გახლდათ, დინამოელები მინდვრის სრული ბატონ–პატრონნი იყვნენ.

ზემოთ ჩამოვთვალეთ ის დიდი შეჯიბრებები, რომლებიც თბილისის "დინამოს" უდევს წინ წლევანდელ სეზონში, ყველა მათგანის მოგება ძნელზე ძნელი, ურთულესი საქმეა – კოლექტივს არნახული დაძაბულობა მოელის. მის წინააღმდეგ, როგორც ხედავთ, ყველა გაორკეცებული ძალით და ენერგიით იბრძვის, დანაკლისი პირად შემადგენლობაში – ტრავმები, ავადმყოფობა – საკმარისზე მეტია, ძირითად ოპტიმალურ შემადგენლობას მწვრთნელებმა ვერა და ვერ მოუყარეს თავი, ამიტომ რახან ფეხბურთელებისგან მაქსიმუმს მოვითხოვთ, ნურც საკუთარ თავს დავიშურებთ და ჩვენც მაქსიმალური ოპტიმიზმი გამოვიჩინოთ კეთილგანწყობილებისა და მხარდაჭერის, პატრიოტული გრძნობების გამოხატვის საქმეში.

ბ. ქორქია.

"ლელო", 28 ივნისი, 1979 წ.